პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის _____ იანვარი; ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმში, გაგარინის ქ.N32-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171; 05.25.08.172) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმში, გაგარინის ქ. N32-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171; 05.25.08.172) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) $к^{1/2}$ მაჩვენებლის 10%-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. განემარტოს შპს „ნნნ-2015“-ს (ს/N445440755), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის ეტაპზე გაითვალისწინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2025 წლის 27 იანვრის N01-01-10/430 წერილით დადგენილი პირობები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, გაგარინის ქ. N32-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171, 05.25.08.172) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, ქ. ბათუმში, გაგარინის ქ. N32-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171, 05.25.08.172) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 19 დეკემბერს 1424354615-06 განცხადებით მომართა შპს ,,ნნნ-2015''-მა (ს/N 445440755) და მოითხოვა ქალაქ ბათუმში, გაგარინის ქ. N32- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171, 05.25.08.172) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 10 328 კვ.მ-ს; იგი შედგება ორი საკადასტრო ერთეულისაგან. საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება.

ტერიტორიაზე იგეგმება სასაწყობე შენობის ნაცვლად 30 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება, რომელსაც ექნება მიწისქვეშა და მიწისზედა დახურული პარკინგი. მოთხოვნილი საპროექტო პარამეტრებია : კ1=0,4; კ2=10,0; კ3=0,3; შენობის სიმაღლე მიწის ნიშნულიდან უმაღლეს ნიშნულამდე-119.40მ.

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171, 05.25.08.172) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, გაგარინის ქ. N32- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.08.171, 05.25.08.172) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარ-ჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**